სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2012 წლის 22 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- ***Granos Organicos Nacionales S.A.** გერმანიის წინააღმდეგ – განაცხადი №19508/07*

აპლიკანტი კომპანია პერუს კორპორაციაა, რომელიც რეგისტრირებულია პერუს კანონმდებლობის შესაბამისად და დაფუძნებულია ლიმაში. კომპანიამ, რომელიც ბანანის ექსპორტიორია, ორ გერმანუკ კომპანიასთან გააფორმა კონტრაქტი 2001 და 2002 წლებში, შეთანხმდნენ რა, რომ ყველა იურიდიული დავა განიხილებოდა ჰამბურგის სასამართლოებში. 2006 წელს გერმანიის სასამართლოებმა უარყვეს კომპანიის მოთხოვნა სამართლებრივი დახმარების თაობაზე, რათა ჰამბურგის საოლქო სასამართლოს განეხილა მათი სამოქალაქო დავა და დაადგინეს, რომ გერმანული კანონმდებლობით მხოლოდ ევროპის კავშირისა და ევროპის ეკონომიკური არეალის ფარგლებში არსებულ იურიდიულ პირებს აქვს საშუალება მიიღონ სამართლებრივი დახმარება. აპლიკანტი კომპანია ჩიოდა, რომ აღნიშნული უარით დაირღვა მათი სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება. ამას გარდა, აპლიკანტი კომპანიის აზრით, მათ მიმართ დამოკიდებულება დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დაირღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-14 მუხლი.

- *ოსტერმიუნხნერი გერმანიის წინააღმდეგ – განაცხადი №36035/04*

აპლიკანტი ფრანც ოსტერმიუნხნერი ავსტრიის მოქალაქეა, დაიბადა 1953 წელს და ამჟამად დაპატიმრებულია ვენაში. იხდიდა რა გერმანიაში სასჯელს ბავშვების მიმართ სექსუალურ ძალადობაში ბრალდების გამო, იგი მოათავსეს პრევენციულ პატიმრობაში 1996 წელს, განაჩენის გამომტანი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადაც იგი იმყოფებოდა 2008 წლამდე, ვიდრე არ იქნა ავსტრიაში გაძევებული. კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით იგი ჩივის პრევენციული პატიმრობის ხანგრძლივობის თაობაზე, რა დროსაც მას არ ჩაუტარდა თერაპიული მკურნალობა ავსტრიაში გარდუვალი გაძევების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.

- *რანგელოვი გერმანიის წინააღმდეგ – განაცხადი №5123/07*

აპლიკანტი ცვეტან რანგელოვი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ამჟამად იმყოფება პატიმრობაში ვრაცაში. განაცხადის შეტანისას იგი იმყოებოდა გერმანიაში შტრაუბინგის ციხეში. გერმანიაში განმხადებელი მრავალჯერ იყო დაპატიმრებული, განსაკუთრებით ქურდობის ბრალდებით. 2003 წელს მას მიუსაჯეს პრევენციული პატიმრობა, სადაც იგი 2007 წლამდე იმყოფებოდა, ვიდრე არ იქნა გაძევებული ბულგარეთში. იგი ჩიოდა, რომ მის მიმართ გამოტანილი პრევენციული პატიმრობის განკარგულების აღსრულება არღვევდა კონვენციის მე-14 მუხლისა და მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნებს, რადგან იგი იყო უცხოელი, მას უარი ეთქვა

სოციალურ თერაპიაზე ან საპატიმრო პირობების შემსუბუქებაზე. აღნიშნული ზომების გატარებით იგი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რითიც დაამტკიცებდა, რომ იგი გათავისუფლების შემდეგ აღარ დაუბრუნდებოდა უკანონო ცხოვრებას და საზოგადოებისათვის აღარ იქნებოდა საშიშროების შემცველი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილთან მიმართებაში. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 6.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1.650 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.